პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 245 (7056)
23 დეკემბერი, 1981 წ. ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

საქართველოს სპორტკომიტეტში

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი მოჭადრაკე ქალების დიდი წარმატებანი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ თბილისში ცხოვრობენ მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, მალტის ოლიმპიადისა და სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატში გამარჯვებულნი...

ეს წარმატებები, რა თქმა უნდა, მოჭადრაკეების დიდი და დაძაბული შრომის, მათი მწვრთნელების, ჭადრაკის სხვა სპეციალისტების შემოქმედებითი მუშაობის შედეგია და ამ მიღწევებით სამართლიანად ვამაყობთ. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპორტში დაუშვებელია ადგილზე დგომა — საჭიროა გულდაგული მუშაობა, ახალი სიმაღლეებისკენ ლტოლვა, მეცნიერულად დასაბუთებული, სწორად გააზრებული გეგმით სისტემატური წვრთნა-ვარჯიში.

სწორედ მომავალი წლის გეგმებზე, ინდივიდუალური მუშაობის საკითხებზე იყო მსჯელობა გუშინწინ საქართველოს სპორტკომიტეტში, სადაც მოვიდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, საერთაშორისო დიდოსტატები ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი და ნ. გურიელი, სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები, მწვრთნელები, ჭადრაკის სხვა სპეციალისტები.

საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სპორტის მოყვარულები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა კვლავაც ელიან ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალების ტრიუმფალურ მსვლელობას დიდი ჭადრაკის სამყაროში. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ სპორტსმენთა და მწვრთნელების, ჭადრაკის სპეციალისტთა ერთსულოვანი საგულდაგულო მუშაობის შედეგად.

შეხვედრისას დეტალურად გაანალიზდა და დამტკიცდა მომავალი წლის სამუშაო გეგმები, შეკრებათა ვადები, შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მზადების სხვა საკითხები, დაისახა კონკრეტული ამოცანები.

გულთბილი შეხვედრა

მოსკოვში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავისადმი მიძღვნილ ზეიმში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარიც მონაწილეობდა.

როგორც ცნობილია, იანოშ კადარი ჭადრაკის დიდი თაყვანისმცემელია. მოსკოვში ყოფნისას იგი ყოველთვის პოულობს დროს შეხვდეს გამოჩენილ საბჭოთა მოჭადრაკეებს. ამჯერად იანოშ კადარი სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბს ესტუმრა. აქ შეხვდა და გულთბილად ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონებს მაია ჩიბურდანიძეს, ანატოლი კარპოვს და სხვა ცნობილ მოჭადრაკეებს. უნგრელი სტუმარი დაინტერესდა მსოფლიო პირველობაზე თბილისსა და მერანოში გამართული მატჩებით, 1982 წლის საჭადრაკო ცხოვრების ღირსშესანიშნავი ტურნირებით და სხვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მასპინძლობს სპორტის სასახლე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო კალათბურთელ ვაჟთა გუნდების 49-ე საკავშირო ჩემპიონატის IV ტურმა.

დღისით 3 მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ ტალინის „კალევის“ ჩამოუსვლელობის გამო მისი შეხვედრა კაუნასის „ჟალგირისთან“ არ შედგა.

ცსკა — ვეფ-ი (რიგა)

106:94 (58:50)

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონებმა — ცსკა-ს კალათბურთელებმა თამაში ნელ ტემპში დაიწყეს. ამით ისარგებლეს რიგელებმა და ანგარიშში დაწინაურდნენ. უკვე მე-14 წუთზე რიგელები 10 ქულით იყვნენ წინ—37:27. არმიელებმა იგრძნეს წაგების საშიშროება და მთელი ძალით შეუტიეს მეტოქეს. ამ მომენტში განსაკუთრებით კარგად ითამაშა არმიელმა ტარაკანოვმა. სწორედ მისი და მიშკინის დამსახურებაა ის, რომ ანგარიშში სხვაობამ შემცირება იწყო. როცა ტაიმი დამთავრდა, უკვე არმიელები იყვნენ წინ — 58:50. შესვენების შემდეგ რიგელებმა შორიდან ზუსტი ტყორცნებით მდგომარეობა თითქმის გამოასწორეს — 78:80, მაგრამ ბოლომდე ძალა აღარ ეყოთ და დამარცხდნენ — 94:106. არმიელთაგან გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა ტარაკანოვმა — 34, დამარცხებულთაგან — ქვიგურსმა — 19.

„სტატიბა“ (ვილნიუსი)— „დინამო“ (მოსკოვი)

80:94 (44:46)

ძველ მეტოქეთა ბრძოლა მხოლოდ შეხვედრის პირველ ნახევარში იყო თანაბარი. შესვენების შემდეგ დინამოელთა უპირატესობა გამოიკვეთა. ჟიგილიისა და გრიშაევის შეთანხმებულმა თამაშმა ვილნიუსელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. იყო მომენტი, როცა დინამოელები წინ იყვნენ 18-20 ქულით. მატჩის მიწურულს ვილნიუსელებმა თუმცა შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 80:94.

გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო გრიშაევი — 24 ქულა, დამარცხებულთაგან—გირსკისი — 18.

უკანასკნელ საათს!

გუშინ საღამოს უნდა გამართულიყო თბილისის „დინამოსა“ და მინსკის რტი-ს გუნდების შეხვედრა, მაგრამ ბელორუსი კალათბურთელები უამინდობის გამო ვერ ჩამოფრინდნენ თბილისში და მათი მატჩი გადაიტანეს 29 დეკემბრისთვის.

სპორტის სასახლის მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ძალა ორი „სტროიტელი“ — კიევისა და კუიბიშევის. საერთო ინტერესს იწვევდა ე. წ. სუპერგიგანტების — კიეველი ტკაჩენკოსა და კუიბიშეველი სიზონენკოს „დუელი“. გაიმარჯვეს უფრო გამოცდილებმა—კიეველმა კალათბურთელებმა—75:62 (39:34), ხოლო ტკაჩენკომ 15 ქულაც კი შესძინა თავის გუნდს.

მანამდე ითამაშეს ლენინგრადის „სპარტაკისა“ და კიევის არმიელთა გუნდებმა. შეხვედრის შედეგია 101:77 (41:43) არმიელთა სასარგებლოდ.

* * *



სურათზე: ცსკა-ს კალათბურთელები უტევენ რიგელთა ფარს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა გასული სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ტრადიციული 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელშიც შევიდნენ:

მეკარეები — 1. რენატ დასაევი („სპარტაკი“), 2. ვიაჩესლავ ჩანოვი („ტორპედო“), 3. ვიქტორ ჩანოვი („შახტიორი“).

მარჯვენა მცველები—1. თენგიზ სულაქველიძე („დინამო“, თბილისი), 2. სერგეი ვოროვსკი („დინამო“, მინსკი), 3. ვლადიმერ ლოზინსკი („დინამო“, კიევი).

ცენტრალური წინა მცველები — 1. ალექსანდრე ჩივაძე („დინამო“, თბილისი), 2. ანატოლი კონკოვი („დინამო“, კიევი), 3. ნოდარ ხიზანიშვილი („დინამო“, თბილისი).

ცენტრალური უკანა მცველები — 1. სერგეი ბალტაჩა („დინამო“, კიევი), 2. შოთა ხინჩაგაშვილი („დინამო“, თბილისი), 3. ვაგიზ ხიდიატულინი (ცსკა).

მარცხენა მცველები — 1. ანატოლი დემიანენკო („დინამო“, კიევი), 2. ოლეგ რომანცევი („სპარტაკი“), 3. გიორგი თავაძე („დინამო“, თბილისი).

მარჯვენა ნახევარმცველები — 1. ლეონიდ ბურიაკი, 2. ანდრეი ბალი (ორივე—„დინამო“, კიევი), 3. ფიოდორ ჩერენკოვი („სპარტაკი“).

ცენტრალური ნახევარმცველები — 1. ვლადიმერ ბესონოვი („დინამო“, კიევი), 2. იური სუსლოპაროვი („ტორპედო“), 3. სერგეი შავლო („სპარტაკი“).

მარცხენა ნახევარმცველები — 1. ვიტალი დარასელია („დინამო“, თბილისი), 2. ვლადიმერ ვერემეევი („დინამო“, კიევი), 3. ედგარ გესი („სპარტაკი“).

მარჯვენა თავდამსხმელები — 1. რამაზ შენგელია, 2. ვლადიმერ გუცაევი (ორივე — „დინამო“, თბილისი), 3. სერგეი ანდრეევი (ასკ, დონის როსტოვი).

ცენტრალური თავდამსხმელები — 1. იური გავრილოვი („სპარტაკი“), 2. დავით ყიფიანი („დინამო“, თბილისი), 3. ხორენ ოჰანესიანი („არარატი“).

მარცხენა თავდამსხმელები— 1. ოლეგ ბლოხინი („დინამო“, კიევი), 2. ვალერი გაზაევი („დინამო“, მოსკოვი), 3. სერგეი როდიონოვი („სპარტაკი“).

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მთავარ მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით ყველა, 33 საუკეთესო მოთამაშე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატია. მათ გარდა, ქვეყნის ნაკრების კანდიდატად ჩარიცხულნი არიან მეკარე ვალერი ნოვიკოვი (ცსკა) და ნახევარმცველი იგორ პონომარიოვი („ნეფთჩი“). (საქდესი).

სპორტულ ჟურნალისტთა მიჯნები

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც ლაპარაკი იყო სპორტული პრესის მუშაკთა წინაშე დასახულ ამოცანებზე, გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სექტემბრის დადგენილებიდან „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“.

საკავშირო სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა ა. ვალიახმეტოვმა გააანალიზა ზოგიერთ ცენტრალურ გაზეთში უკანასკნელ დროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის საკითხების შესახებ გამოქვეყნებული მასალები. ითქვა, რომ ამ მხრივ კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს სპორტული პრესის როლი. განზრახულია ჩატარდეს შემოქმედებითი თათბირ-სემინარები, მოეწყოს სხვადასხვა კურსები, გაიმართოს ფედერაციის პლენუმი, რომელიც ზემოხსენებული დადგენილების შესრულების საკითხებს მიეძღვნება.

პრეზიდიუმმა მოისმინა ბელორუსიის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის მუშაობის ანგარიში სექტემბრის დადგენილების შესრულების თაობაზე.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ლ. ლებედევი („პრავდა“), ა. ჩაიკოვსკი („ფიზკულტურა ი სპორტი“), ი. ვანიატი („ტრუდი“), ს. პოპოვი (ას-ი) და სხვა.

პრეზიდიუმმა განიხილა კრასნოიარსკში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის V სპარტაკიადის პრესსამსახურის ორგანიზაციის საკითხები.

ნუ დავკარგავთ საუნჯეს

„ვინ შეკაზმავს ცხენს?“

ანუ ყველაფერი სურვილით იწყება



რესპუბლიკაში მეცხენეობისა და ცხენოსნობის ტრადიციების აღორძინების ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე წინა წერილებში გვქონდა საუბარი. დღეს გვინდა მკითხველს კიდევ რამდენიმე მოსაზრება გავუზიაროთ იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება დაჩქარდეს ზოგიერთ რეგიონში სადღეისო პრობლემის გადაჭრა. ერთი ასეთი საკითხთაგანია კერძო პირთა ცხენების საერთო სარგებლობაში იმდაგვარად გამოყენების საკითხი, რომ თვით ცხენის მეპატრონეს მივცეთ სტიმული, ხელი შევუწყოთ, რაც შეიძლება ფასეული წვლილი შეიტანოს საყოველთაო საქმეში. აქ კი ბევრი რამ იქნება დასადგენ-დასაზუსტებელი. პირველ ყოვლისა, ალბათ, კომპეტენტურ ორგანიზაციებში თუ ინსტანციებში უნდა დაკანონდეს ცხენის მეპატრონის უფლებები, განისაზღვროს შემოსავლის (გაქირავების) რაოდენობა. ვიმეორებთ, ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ცხენის პატრონის სასარგებლოდ და იმისთვისაც უნდა ვიზრუნოთ, რომ მას ცხენის საკვები, საცხენოსნო ინვენტარი და აღკაზმულობა საძებნი არ ჰქონდეს. იქნებ იმაზეც ვიფიქროთ, რომ კოოპერატიული ფერმები გაიხსნას სახსრების გაერთიანებით და მივცეთ მათ საშუალება სამეურნეო ანგარიშზე თავადვე გაუძღვნენ სასარგებლო საქმეს. საკოლმეურნეობათაშორისო და სარაიონთაშორისო საჯინიბოების გახსნას კი წინ არაფერი უდგას და, რაც დროზე მოგვარდება ეს საქმე, მით უკეთესი.

ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით. ახლა კი ისევ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს მრავალმხრივ საყურადღებო დადგენილებას დავუბრუნდეთ. ცხენოსნობის მოყვარულებს უდავოდ გაახარებს ცნობა, რომ ამ დადგენილებით თბილისის ტურისტული სასტუმრო „ვაკე“ იპოდრომთან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ტურისტებისთვის სისტემატურად მოაწყობს საცხენოსნო ლაშქრობებს და ცალკეულ გადასვლებს საგანგებოდ შერჩეული მარშრუტებით. მალე საცხენოსნო ტურიზმის საგზურები სარეალიზაციოდ გადაეცემა ქუთაისის კემპინგს, ცაგერის რაიონის სოფელი ალპანა და სოფელი ლაილაში ცხენებისთვის კემპინგს გამოყოფენ, რისთვისაც ეს კოლმეურნეობები მიიღებენ საიჯარო თანხას. ვფიქრობთ, თაოსანთა გამოცდილება უნდა განზოგადდეს, რათა ცხენმა კვლავ დაიბრუნოს თავისი ადგილი ჩვენს ყოფაში.

აქვე გვინდა გაგაცნოთ იმ ღონისძიებათა გეგმა, რომელსაც ზემოაღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს. უკვე შემუშავდა მარშრუტი: თბილისი — შავი ზღვის სანაპირო, რომელსაც საცხენოსნო ტურიზმის მოყვარულები საველე პირობებში ლამის თევით ორ დღეში გაივლიან. მუშავდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ქუთაისის კემპინგისთვის თავლის ასაშენებლად. თავლა გათვალისწინებულია 50 ცხენისთვის. რაც მთავარია, „უნაგირზე დასვენების“ მსურველებისთვის ტურისტული მარშრუტები მთელი წლის განმავლობაში მოეწყობა. 1983 წლიდან კი გათვალისწინებულია საცხენოსნო ტურიზმი გასცდეს რესპუბლიკის ფარგლებს და საკავშირო მარშრუტებზე გავიდეს. 1982-83 წლებში დამთავრდება ბაკურიანისა და ბაზალეთის საჯინიბოების მშენებლობა. ასეთია პირველი ნაბიჯები იმ დიდი საქმისა, რომელიც პირველ ეტაპზე მიღებული გამოცდილების შემდეგ უდავოდ მთელ რესპუბლიკაში მოიკიდებს ფეხს.

* * *

როგორც ვთქვით, ახლო მომავალში უნდა მოგვარდეს საკოლმეურნეობათაშორისო და სარაიონთაშორისო საცხენოსნო საჯინიბოების ამოქმედების საკითხი. მრავალ პრობლემას შორის, რომელთა გადაუჭრელობა ხელს უშლის მიზნის მიღწევას, ჩვენ გამოვყოფდით უმთავრესს — სახსრების პრობლემას. თავი და თავი ის გახლავთ, რომ ცხენები ახლა ერთობ ძვირი ღირს და მოვლა-პატრონობა კიდევ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შეიძლება ვინმემ თქვას: თუ ასეა, ზედმეტი ხარჯები რაღა საჭიროაო. პასუხი ერთი იქნება: ეს საქმე რენტაბელურია, ვალში არავინ ჩავარდება, დანახარჯი ათმაგად და ასმაგად ანაზღაურდება, როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით. ამგვარი შინაარსისა და მნიშვნელობის საქმე კი სახსრების გაუღებლად არასდროს დაწყებულა და უამისოდ არც არაფერი გაკეთებულა. რაკი ასეა, არც ცხენისა და ცხენოსნობის მიმართ უნდა ვიყოთ გულგრილნი. გუშინ და გუშინწინ შეიძლება ეთქვათ, მაგრამ დღეს განა შეუძლია ვინმეს თქვას, რომ ცხენით სეირნობა ფუფუნებაა და მეტი არაფერი? ცხენი ხომ ჯანმრთელობას გაგვიკაჟებს და მკურნალობაშიც გვეხმარება. დიახ, დიახ, მკურნალობაში, რადგან იმ დაავადებათა შორის, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და ადამიანის მოძრაობითი აქტივობის შემცირებას მოჰყვა, ბევრია ისეთი, რომელსაც ყველაზე წარმატებით მხოლოდ ცხენოსნობით მკურნალობენ. ასე რომ, ნუ ვიმარჩიელებთ იმაზე, ცხენისა და ცხენოსნობისთვის დღეს გაღებულ სახსრებს ხვალ როგორ და ვისგან დავიბრუნებთ. როგორც ვთქვით, ცხენოსნობა დღეს რენტაბელურია, ასეც რომ არ იყოს, ჩვენში ხომ ყველაფერი არც მატერიალურ უკუგებაზეა დამოკიდებული. მით უმეტეს, როცა საქმე ადამიანის კეთილდღეობას ეხება.

და მაინც, რით დავიწყოთ, ვინ უნდა ითავოს საქმის წამოწყება, „ვინ შეკაზმავს ცხენს?“ მთავარი უთუოდ სურვილია, დიდი და ოპტიმისტური სურვილი. ასეთი სურვილი მოგვაძებნინებს თანამოაზროვნეებს. ისეთი საბუთი კი, როგორიცაა პარტიისა და მთავრობის დადგენილება, მართლაც მტკიცე საფუძველია წარმატებისა. ასე რომ, ვინმესთან, რომელიმე ინსტანციაში შეფერხება, გულის გატეხა და განზრახვაზე ხელის აღების საშიშროება აღარ გვემუქრება. სახსრების გამონახვის საშუალებებზე საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებთ. დავიწყებთ იმ პერიოდიდან (ეს კი ამ 3-4 წლის წინათ იყო), როცა ქუთაისში ახლადშექმნილი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობამ თხოვნით მოგვმართა ცხენოსნობის ფედერაციას დავხმარებოდით ქუთაისის ტერიტორიაზე სარაიონთაშორისო საჯინიბოს გახსნაში. მანამდე ენთუზიასტებმა ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენებით მოისურვეს მიზნისთვის მიეღწიათ. მომხრეებიც გაიჩინეს — ქალაქში განლაგებული საწარმოები, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის გამგებლობაში შედიან. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციებმა თანხმობა განაცხადეს სახსრების გაღებაზე და ეს თანხმობა იურიდიული დოკუმენტაციითაც განამტკიცეს, საქმე ზემდგომ ინსტანციებში „გაიყინა“. ისევ ოცნებად დარჩა ქუთაისის, წყალტუბოს, თერჯოლის, ზესტაფონის, ვანის, მაიაკოვსკის რაიონების გაერთიანებული ძალებით ცხენზე და ცხენოსნობისთვის ზრუნვა. ერთი მიზეზი კი, უნდა ითქვას, ისიც გახლდათ, რომ საშველი არ დაადგა თავლისა და იპოდრომისთვის ადგილის გამოყოფას. ვიდრე ქუთაისს სურდა საკუთარი საცხენოსნო კერა შეექმნა, წყალწითელას ტერიტორია, რომელიც საამისოდ იყო შერჩეული, ერთ-ერთი დოკუმენტით ამოჩნდა... თერჯოლის რაიონის ფარგლებში. თუმცა საკითხი სასიკეთოდ არც მაშინ გადაიჭრა, როცა დღის წესრიგში სარაიონთაშორისო თავლის შექმნის საკითხი დადგა და თერჯოლის რაიონსა და ქუთაისს შორის დავის საბაბი მოისპო. ახლა ყოველივე ამას ერთხელ კიდევ იმიტომ ვიხსენებთ, რომ წამოწყებული საქმე უნდა დაიძრას იმ წერტილიდან, სადაც გაიყინა. ენთუზიასტთა შრომასაც გაფრთხილება და დაფასება უნდა. პარტიისა და მთავრობის დადგენილება მოითხოვს, რომ საკითხი ცხენისა და ცხენოსნობის სასიკეთოდ გადავჭრათ და წარმატებით დავაგვირგვინოთ საქმე, რომლის დამთავრებაც ესოდენ საშურია. უფრო მეტიც, მისი დროულად მოგვარება სხვებსაც სჭირდებათ მისაბაძად და სამაგალითოდ.

ალბათ დღეს აღარც აბაშელთა ოცნების ასრულებას დაუდგება წინ რაიმე. შრომაში სიახლეთა გაბედული დანერგვით სახელგანთქმული რაიონი ბოლო ხანებში არც სპორტს აკლებს ყურადღებას და, უდავოა, ახლო მომავალში აბაშელი მხედრები უკვე საბოლოოდ მოიკიდებენ ფეხს რესპუბლიკის სპორტულ სარბიელზე.

* * *

ამ რამდენიმე წლის წინათ საცხენოსნო სპორტის რესპუბლიკურ ფედერაციაში ჩოხატაურელი ახალგაზრდების ერთობლივი წერილი მივიღეთ. წერილის ავტორები გულისტკივილს გვიზიარებდნენ ცხენოსნობის ეროვნული სახეობების კვლავ მივიწყების თაობაზე. „რატომ ხდება — გვწერდნენ ისინი, — რომ რესპუბლიკური და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში მხოლოდ და მხოლოდ ცხენბურთში, ისინდში და მარულაში იმართება. რატომ დავივიწყეთ დიდი წვალებით აღორძინებული ცხენოსნობის სხვა სახეობები?“

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, შეუძლებელი გახდა ხსენებული ასპარეზობების პროგრამის გაზრდა. მიზეზი რამდენიმე აღმოჩნდა, პირველი კი ის იყო, რომ რაიონებში აღარ მოინახნენ, ან არენაზე გამოსვლისთვის უკვე უძლურნი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც, ორმოცდაათიან წლებში და სამოციანი წლების დასაწყისში თავიანთ ოსტატობას უჩვენებდნენ იპოდრომის სარბიელზე. ახალგაზრდები ძირითადად მხოლოდ ცხენბურთში, ისინდში და მარულაში გამოდიოდნენ და აკი ეს სახეობები შემორჩა კიდეც სარბიელს. მეორე მთავარი მიზეზი ისევ და ისევ ცხენების სულადობის მკვეთრი შემცირება გახლავთ. ერთი და იგივე ცხენი ყველა სახეობაში, ცხადია, ვერ გამოდგება და კიდეც რომ გამოდგეს, უგულო უნდა იყო კაცი, რომ არ შეიბრალო იგი.

ახლა გამოსავალი ერთია: მეცხენეობისა და ცხენოსნობის აღორძინების პარალელურად, ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ ცხენოსნობის ისეთი ეროვნული სახეობების ხელახალი განვითარებისთვის, როგორიცაა თარჩია, ყაბახი, მოქნევა, ჩეხვა, მკერდაობა... საამისოდ კი ისევ ისტორიულ ლიტერატურას უნდა მივუბრუნდეთ, უხუცესი ადამიანების რჩევა-დარიგება მოვიშველიოთ, დავდგეთ მათ შეგირდად. რაც მთავარია, დაუყოვნებლივ უნდა შევიტანოთ მივიწყებული თამაშები ასპარეზობათა პროგრამაში. ესეც ხომ ამ სახეობათა აღდგენის თავისებური სტიმული იქნება მოასპარეზე გუნდებისთვის. არც ის იქნება საგანგაშო, ჯერჯერობით სარბიელზე მხოლოდ თითოოროლა მხედარი თუ გამოვა.

რესპუბლიკაში ცხენების სულადობის გაზრდა სადირექტივო ორგანოების დადგენილებით უკვე რაიონების მიხედვითაა დაგეგმილი. ამიერიდან გადაშენება-გადაჯიშების საკითხი აღარც თუშურ და მეგრულ ცხენებს ემუქრებათ, რადგან მათი მოშენება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებსაც ევალებათ. დასავლეთ საქართველოში კი მოეწყობა ცხენსაშენი, რომელსაც ადგილობრივი ჯიშის ცხენების მომრავლებაც დაევალება. აქ ალბათ საჭირო იქნება გავითვალისწინოთ ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც მეგრული ცხენის მომრავლება-გაუმჯობესების საქმის მსახურთ დაუგროვდათ 30-35 წლის წინათ დასავლეთ საქართველოში არსებულ 8 სანაშენო ფერმაში. უკვე ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, რომ ყულარის ცხენსაშენი, რომელიც ერთადერთია რესპუბლიკაში, მთლიანად გათავისუფლდეს სხვა საქმისგან (საცალო სამეურნეო პროდუქციის წარმოება) და ძირითადად ცხენთა მოშენებას მოემსახუროს. ამავე ცხენსაშენთან, როგორც დამოუკიდებელი საწარმოო ერთეული, შეიქმნება სახელმწიფო რესპუბლიკური ცხენსაშენის საჯინიბო. იგი დაკომპლექტდება აჯილღებით, მათ შორის, თუშური და მეგრული ჯიშის აჯილღებით.

სპეციალისტები ალბათ შესაბმელი ცხენების ჯიშის აღდგენა-შენარჩუნებას და მომრავლებასაც არ მოაკლებენ მზრუნველობას. ამ ჯიშის ცხენის თვისებების გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო სანაშენო საჯინიბომ. სადირექტივო ორგანოების დადგენილება „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის“ ითვალისწინებს წარსულ წლებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გავრცელებული ყველა ჯიშის აღდგენა-მომრავლებას. ამიტომ თითოეულ რაიონს ევალება სწორედ ცხენის იმ ჯიშის მომრავლებასა და გაუმჯობესებაზე იზრუნოს, რომელიც იქ ოდითგანვე იყო დამკვიდრებული. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მზრუნველობით უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. გარდა ამისა, ახლა იშვიათად ტარდება ზეიმი მხედართა მონაწილეობის გარეშე, ხალხურ დღესასწაულებზე კვლავ იმართება ასპარეზობები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. ზოგან მხედრები უბრალოდ აღლუმებში მონაწილეობენ, რომ ხალხს კვლავ ჩაუღვივონ ცხენისა და ცხენოსნობისადმი სიყვარული. „გარისობაზე“, რომელიც თეთრიწყაროს რაიონში ჩატარდა და „ფიროსმანობაზე“, რომელიც გაიმართა სიღნაღში, მოსახლეობამ სამი ათეული წლის შემდეგ ისევ იხილა ცხენოსნური ასპარეზობა. „გარისობაზე“, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს რაიონებში, ბევრმა საკუთარი ცხენი მოიყვანა და დოღში მონაწილეობისთვის გადასცა ახალგაზრდობას. ასპარეზობაში მონაწილეობის პატივი იმ საზეიმო დღეს წილად ხვდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც: უნივერსიტეტის დამაარსებლის, დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მის მშობლიურ რაიონში — კასპში გაემგზავრა სამეცნიერო-სპორტული ექსპედიცია. რაოდენ გაიხარეს ექსპედიციის წევრებმა, როცა მათ მეცნიერის სოფელში გასამგზავრებლად ცხენები შესთავაზეს. ამხედრებულები მიადგნენ ექსპედიციის წევრები ქვათახევს. იყო ამაში რაღაც სიმბოლურიც — ივანე ჯავახიშვილი ხომ თავად გახლდათ საქართველოში მეცხენეობის განვითარების ერთ-ერთი ქომაგი.

როგორც ვნახეთ, რესპუბლიკაში მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარება დღეს საყოველთაო ზრუნვის საგანია. პრობლემა, ცხადია, ადვილი გადასაჭრელი არ არის. მთავარია ყველა გულისყურით მოვეკიდოთ ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანას, როგორიც შეგვიძლია, ისეთი წვლილი შევიტანოთ ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში.

თ. ბაჩეჩილაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 231, 241.

შრომასა და სპორტში

ყვარლის რაიონის ახალსოფლის სანერგე მეურნეობის ახალგაზრდებს უყვართ ქართული ჭიდაობა. აქ ჩამოყალიბებულია სექცია, რომელსაც თ. ვარდიაშვილი ხელმძღვანელობს. მეურნეობის ფალავნები წარმატებით გამოდიან ხოლმე რაიონულ სპარტაკიადაზე და ჩემპიონობას არავის უთმობენ. გამოირჩევიან სპორტის ოსტატები, ძმები შ. და ა. ალიევები, რომლებიც ამავე დროს კარგად შრომობენ მეურნეობაში.

ქართული ჭიდაობის გარდა ახალსოფლელებს უყვართ ფეხბურთი და ხშირად მართავენ ამხანაგურ მატჩებს მეზობელი სოფლების ფეხბურთელთა გუნდებთან. ამას წინათ ისინი ამხანაგურ მატჩებში შეხვდნენ მთისძირის, ბალღოჯიანისა და ახალსოფელში პრაქტიკაზე ჩამოსულ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს.

მოჭიდავეებთან და ფეხბურთელებთან ერთად გამოირჩევიან მოჭადრაკეები და მოშაშეები.

ბოლო სამი წლის მანძილზე ახალსოფლელები რაიონული სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გამოდიან. როგორც ფიზკულტურის მეთოდისტმა გ. ყორყოლაძემ თქვა, სოფლის სპორტსმენებს ეხმარება მეურნეობის დირექცია (დირექტორი ა. წიკლაური) და ადგილკომი, რომელმაც ფიზკულტურის კოლექტივს მრავალი ინვენტარი შეუძინა.

აქ გადაწყვიტეს კეთილმოაწყონ ფეხბურთის სტადიონი. ერთი საზრუნავიც აქვთ ახალსოფლელებს. მათ ძალიან უყვართ ხელბურთი, მაგრამ სათამაშო მოედანი არ გააჩნიათ. მეურნეობის დირექციამ ესეც გაითვალისწინა და განიზრახა მოკლე ხანში დააკმაყოფილოს ხელბურთის მოყვარულთა სამართლიანი მოთხოვნა.

ლ. მაისურაძე.

გესაუბრებით რესპუბლიკის ფიგურისტთა ნაკრებზე

ცხელი დღეები... ყინულზე

ორ თვეზე ცოტა მეტი დრო დარჩა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის V სპარტაკიადის ფინალურ სტარტებამდე, რომლებიც კრასნოიარსკში გაიმართება. მანამდე კი, მომავალი წლის იანვარში, მოეწყობა რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობანი. როგორ ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო სტარტებისათვის ჩვენი რესპუბლიკის გუნდები, საუკეთესო ქართველი სპორტსმენები, რა პრობლემების წინაშე დგანან ისინი?

დღეს ჩვენ გთავაზობთ პირველ წერილს რესპუბლიკის ფიგურულ მოციგურავეთა ნაკრების შესახებ.

მას მოჰყვება მასალები ჩვენი გუნდების მზადებაზე სამთო-სათხილამურო სპორტში, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, საციგაო სპორტში, რბოლებში, ორჭიდში...

გუნდის უფროსი — ნ. ნათაძე.

უფროსი მწვრთნელი — ი. ჯაფარიძე.

მწვრთნელები — ვ. რეტივიხი, ლ. დოლიძე.

სსრ კავშირის ზამთრის V სპარტაკიადაზე კრასნოიარსკში საქართველოს მოციგურავეთა ნაკრები 10 სპორტსმენით გამოვა — 5 ქალი და ამდენივე ვაჟი. ამ საპასუხისმგებლო სტარტისათვის მზადება გუნდმა 15 მოციგურავით დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ ივლისში (5-24) საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება გაიარა ლესელიძეში, პანსიონატ „სპორტში“. საზრუნავი იმთავითვე ბევრი იყო: სწორი სუნთქვის გამომუშავება, წელის კუნთების გამაგრება, რაშიც ნაკრების წევრებს გულმოდგინედ შერჩეულ ვარჯიშებთან ერთად დიდად ეხმარებოდა სხვადასხვა სპორტული თამაშები, მძლეოსნური კროსები, ცურვა...

3 აგვისტოდან 24 დღის განმავლობაში ჩვენი ნაკრები მოსკოვში, ნორჩი პიონერების სტადიონის საციგურაოზე ატარებდა ე. წ. მოსამზადებელ პერიოდს —სპორტსმენები ამთავრებდნენ ცალკეული პროგრამების შედგენას, მუშაობდნენ სრიალზე, ბრუნებზე. შეკრებამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. ქართველ მოციგურავეთა ვარჯიშს რამდენჯერმე დაესწრნენ ცნობილი სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე გორელიკი (იგი ამჟამად ცსკა-ს საციგურაო სპორტული სკოლის დირექტორია) და საკავშირო სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ციგურაობაში, სპორტის ოსტატი ალექსანდრე ვედენინი, სპეციალისტებმა საჭირო რჩევა-დარიგებანი მისცეს ჩვენს მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, აღნიშნეს მათი მზარდი ოსტატობა.

სექტემბერში ნაკრების წევრები თბილისში თავიანთ მწვრთნელებთან ვარჯიშობდნენ. სამწუხაროდ, ეს პერიოდი ასეთივე წარმატებით არ აღნიშნულა. ცნობილია, რომ საქართველოს დედაქალაქის ერთადერთი საციგურაო (სპორტის სასახლის გვერდით) არ ესადაგება სტანდარტს და, ცხადია, ვერ პასუხობს თანამედროვე საციგურაო სპორტის მოთხოვნებს. მისი მცირე ზომის გამო მოციგურავენი იძულებული არიან ვარჯიშისას სრიალის სიჩქარე შეცვალონ, რაც შესაბამისად აძნელებს პროგრამის შესრულებას, საგრძნობლად მოქმედებს მის ხარისხზე, წვრთნის ნაყოფიერებაზე.

— ამიტომ იყო, რომ საქართველოს სპორტკომიტეტმა და განათლების სამინისტრომ ერთობლივად დაგვიგეგმეს ოქტომბერსა და დეკემბერში გასვლითი შეკრების ჩატარება — გვეუბნება ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ი. ჯაფარიძე, — სამწუხაროდ, „თავისუფალი ყინული“ ვერ ვიშოვეთ ვერც მოსკოვში, ვერც დონეცკში, სვერდლოვსკში, ვოლგოგრადში, ელექტროსტალში და ვერც პერვოურალსკში. იძულებული ვიყავით ისევ თბილისში გვევარჯიშა.

საქმე ის არის, რომ ზემოჩამოთვლილი ქალაქების ბაზები ახლა, დილიდან, გვიან საღამომდე ძირითადად დაკავებულია ჰოკეისტებისა და ნორჩი ფიგურისტების მიერ. ჩვენს ნაკრებს კი სავარჯიშოდ დღეში მინიმუმი 6 საათი სჭირდება.

მიუხედავად ასეთი, ვიტყოდით „ყინულის შიმშილისა“, რესპუბლიკის მოციგურავენი საკმაოდ ინტენსიურად, მთელი პასუხისმგებლობით ემზადებიან. წინა, III და IV სპარტაკიადებზე ჩვენი მოციგურავეთა გუნდი მეექვსე ადგილზე გავიდა და, სხვა თუ არა, ამ შედეგს შენარჩუნება სჭირდება. გავიხსენოთ ისიც, რომ III სპარტაკიადაზე 15 წლის მარინე ცერცვაძე ერთეულთა თანრიგში III საპრიზო ადგილზე გავიდა მოზრდილთა შორის, ხოლო IV სპარტაკიადაზე 16 წლის გია შამყულაშვილი იუნიორებში II იყო.

რა შემადგენლობით ემზადება ჩვენი გუნდი კრასნოიარსკის დიდი სპორტული ფორუმისათვის?

ერთეულთა შორის ვაჟებში საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავს ან ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელი, სპორტის ოსტატი გია შამყულაშვილი ან მისი თანაკურსელი, სპორტის ოსტატი ბადრი ყურაშვილი. ქალებში მეტოქე არა ჰყავს სპორტის ოსტატ ინგა ბუთიკაშვილს, რომელიც აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს იმავე კურსზე.

ნაყოფიერად ემზადებოდა სპარტაკიადისთვის ჩვენი წყვილი სპორტულ ცეკვაში — ინგა გილაური და სპორტის ოსტატი ვადიმ ბადაიკოვი. მათ ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ელენე ჩაიკოვსკაია ამზადებდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, თბილისში ფიგურისტების მაღალხარისხოვანი მომზადება საკმაოდ რთული საქმეა, წყვილთა თანრიგში მოასპარეზეთათვის კი ვარჯიში საერთოდ შეუძლებელია. გუნდის ხელმძღვანელობა ამ მხრივ თითქოს დამშვიდებული იყო, მაგრამ ახლახან ბადაიკოვმა მეტად მძიმე ტრავმა მიიღო და ამ წყვილის გამოსვლა სპარტაკიადაზე, პირდაპირ უნდა ითქვას, საეჭვო გახდა.

გუნდის ხელმძღვანელები დიდ იმედებს ამყარებენ ცალკეულ ახალგაზრდა მოციგურავეებზე. პირველ რიგში ეს არის სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები გუნდის წევრი, თბილისის 72-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი, 13 წლის ნელი დვალიშვილი, რომელმაც მიმდინარე წელს სსრ კავშირის პირველობაში გაიმარჯვა გოგონათა შ:რის. კარგი მონაცემები აქვს აგრეთვე საკავშირო ნაკრების კანდიდატს, 13 წლის ლია სამხარაძეს (იგი 162-ე სკოლაში სწავლობს, მე-7 კლასში), რომელიც ამავე შეჯიბრებაში მეორე იყო.

ჭაბუკებში გამოირჩევიან 14 წლის ანდრეი ტოროსიანი (52-ე სკოლა) და 13 წლის გელა აკობაშვილი (მე-15 სკოლა). სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ოთხეულიდან ყველას შეუძლია გამარჯვებისათვის ან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა.

...კრასნოიარსკის სტარტებამდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი, მანამდე კი, იანვარში ჩვენს მოციგურავეებს ელით საქართველოს ზამთრის სპარტაკიადა. სწორედ მაშინ გაირკვევა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა, იმ 10 მოციგურავის ვინაობა, რომელიც დაიცავს სპორტული საქართველოს ღირსებას სასპარტაკიადო კრასნოიარსკის ახლადაგებული სპორტის სასახლის ყინულზე.

ო. ნოზაძე.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ი. ჯაფარიძე ავარჯიშებს ახალგაზრდა მოციგურავეებს; მიმდინარეობს ნაკრების მორიგი წვრთნა.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● ფედერაციები — მოქმედებაში

რეგბის შემდგომი აღმავლობისთვის

საქართველოს ალპური კლუბის საქტო დარბაზში გაიმართა რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი. ფედერაციის მუშაობის შესახებ საანგარიშო (1977-1981 წლები) მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი დ. თაქთაქიშვილი, რომელმაც ილაპარაკა რესპუბლიკაში რეგბის განვითარების გზებზე, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში საქართველოს გუნდების გამოსვლებზე, სპორტის . ამ სახეობის პოპულარობის ხელშემშლელ პირობებზე. ითქვა, რომ რესპუბლიკის პირველი გუნდი — თბილისის „ლოკომოტივი“ ორჯერ (1978 და 1981 წლები) იყო ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, მანვე 1978 წელს მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. ამ პერიოდში საკავშირო პირველობაში არასოდეს ჩამოსულა V ადგილზე დაბლა. „ლოკომოტივი“ მუდამ საკმაო შევსებას აძლევს ქვეყნის ნაკრებს, რომელიც ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობს. სულ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საქართველოს 28 რეგბისტს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

1978 წლიდან უმაღლეს ლიგაში თამაშობს, აგრეთვე, ქუთაისის „სახლმშენი“, რომლის რამდენიმე აღზრდილი ქვეყნის ნაკრების კანდიდატია. ამ ქალაქის სპორტსმენებმა კარგად ითამაშეს უელსისა და საფრანგეთის გუნდებთან საერთაშორისო შეხვედრებში.

1979 წლამდე უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა თბილისის მეორე გუნდი „ელვა“, რომელსაც კარგი ტრადიციები ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ „განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ უარი თქვა ამ კოლექტივის მეურვეობაზე, იგი ფაქტიურად დაიშალა და მისი ადგილი დაეთმო „შევარდენს“ (სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“). ამ ახალგაზრდულმა კოლექტივმა წლეულს ქვეყნის ჩემპიონის სახელი დაიმკვიდრა ახალგაზრდული გუნდების შეჯიბრებაში.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ „ლოკომოტივის“, „სახლმშენისა“ და „შევარდენის“ უფროსი მწვრთნელები დ. კილასონია, შ. ქურციკიძე, რ. სანებლიძე, თბილისის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე გ. გუდაძე, გლდანის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ე. სულაქველიძე, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი თ. წივწივაძე და სხვები.

პლენუმმა ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და განიხილა საორგანიზაციო საკითხი.

რესპუბლიკური ფედერაციის ახალ თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ბუაძე.** ფედერაციის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **ნ. დუმბაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე **გ. მაქაცარია,** მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში **მ. ჩიბურდანიძე,** ცნობილი ფეხბურთელი **დ. ყიფიანი** და სხვები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ა. მეტრეველი.**

გმირის ჯილდოზე

ჩვენი ქვეყნის ცხრა რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 150-მდე მოკრივემ მოიყარა თავი რიგაში, სადაც გათამაშდა ბალტიისპირეთის ჩემპიონის, ფაშისტ დამპყრობთა წინაალმდეგ გმირულად დაღუპულ ა. კნისიჩის სახელობის პრიზი. მთავარი ჯილდო — გარდამავალი თასი გადაეცა მსუბუქ წონაში გამარჯვებულ გ. კუპრუნსს (რიგა).

დანარჩენ კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ: ვ. რუბლიოვი (სამხრეთ-სახალინი) — 54კგ. ს. ჯემალდინოვი (კალინინი) — 57, მ. ეფიმოვი (ელგავა) — 63,5, გ. ლიტვინავიჩუსი (კაუნასი) — 67, ა. კუზნეცოვი (ოლაინე) — 71, ბ. ტორშკოევი (ლენინგრადი) — 75, ვ. ტუმასი (რიგა) — 81, ბ. გუმენიუკი (ნოვოროსიისკი) — 41, ა. მატიუშენკოვი (რიგა) — 91 კგ-ს ზევით.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

დამატებითი მატჩი გაარკვევს

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ბოლო, 24-ე მონაწილეს გაარკვევს აზიისა და ოკეანიის ჯგუფის წევრების — ახალი ზელანდიისა და ჩინეთის გუნდების დამატებითი მატჩი.

ამ ჯგუფის ბოლო შესარჩევ შეხვედრაში ახალზელანდიელებმა მოუგეს საუდის არაბეთის ფეხბურთელებს (5:0), რის შედეგად ახალზელანდიელებმა 7 ქულა მოაგროვეს — იმდენივე, რამდენიც ჩინელებმა.

ორივე გუნდს გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობაც ერთნაირი აღმოაჩნდათ, ამიტომ ამ ჯგუფიდან მეორე ფინალისტის გამოსავლენად საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრის დანიშვნა. როგორც ცნობილია, ერთი საგზური ამ ჯგუფიდან კუვეიტელებმა გაინაღდეს.

დაისაჯა

არგენტინის ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ 6 თამაშით აუკრძალა ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლა მარიო კემპესს, რომელიც არგენტინის პირველობის ერთ-ერთ უკანასკნელ მატჩში მინდვრიდან გააძევეს.

კვლავ მწყობრში

8 წლის „განშორების“ შემდეგ ჰოლანდიის „აიაქსს“ დაუბრუნდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, 34 წლის იოჰან კრუიფი, რომელიც გუნდში სტოპერის ადგილს დაიკავებს. ამის მიზეზია ამ კლუბის დაცვის არასაიმედო თამაში. კრუიფმა, რომელიც 1963-73 წლებში წარმატებით იცავდა „აიაქსის“ ღირსებას, თავისი გამოცდილებით უნდა უხელმძღვანელოს ახალგაზრდა მცველებს.

ფედერაციის გადაწყვეტილება

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკეთესი მომზადების მიზნით პერუს ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ უარი განუცხადა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებს უცხოეთის კლუბებში გადასვლაზე. არადა, პერუს ფეხბურთის ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავს, ნახევარმცველ ხულიო ცეზარ ურიბეს ინგლისის „ლიდს იუნაიტედი“ ეპატიჟებოდა.

იძულებითი შესვენება

„გენუა“-„ფიორენტინას“ მატჩის დროს იტალიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, 25 წლის ანტონიონი მძიმედ დაშავდა. საჭირო შეიქნა ოპერაცია. ექიმების აზრით ანტონიონი „სკუადრა აძურას“ რიგებს, სულ ცოტა, 2 წლით გამოაკლდება.

სავალალო შედეგით

...დამთავრდა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი „ინტერსა“ და „რომას“ შორის (3:2). მატჩის დროს ატეხილ აყალმაყალს შეეწირა 2 გულშემატკივრის სიცოცხლე, 50 კი საავადმყოფოში მოათავსეს.

საუკეთესო

არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატს „ოქროს ბუცის“ ახალი მფლობელი ჰყავს. ესაა ამ ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, 21 წლის დიეგო მარადონა, რომელმაც 43-ჯერ აიღო მოწინააღმდეგეთა კარი.

სრული კომფორტით

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ესპანეთის სტადიონებზე მიმავალ ფეხბურთელებს მოემსახურებათ სპეციალური, ე. წ. „სუპერ-ავტობუსები“, სადაც მოთავსებული იქნება ფერადი ტელევიზორები, ბარი, საშხაპეები.

● ძალოსნობა

ამირან ჭიტაძის „ვერცხლი"

დონეცკში გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება და ჩემპიონატი ცალკეულ ვარჯიშებში.

75 კგ წონით კატეგორიაში პირველია ი. ჩერნიშოვი — 350 კგ. ამ წონაში ასპარეზობდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. ჭიტაძე, რომელმაც ორჭიდში V ადგილი დაიკავა (335 კგ), ხოლო აკვრაში ვერცხლის მედალი მოიხვეჭა — 190 კგ. 2,5 კგ-ით მეტი აჰკრა ჩერნიშოვმა. ატაცში ოქროს მედალი ერგო ვ. ბუგროვს (ყაზახეთი) — 157,5 კგ.

82,5 კგ წონაში ყველას აჯობა ა. პერვიიმ (უკრაინა) —382,5. ატაცში ოქროს მედალი იუნიორთა მსოფლიო რეკორდით (173,5 კგ) ერგო ი. არსამაკოვს (რსფსრ), ხოლო პერვიის ტოლი არ ჰყავდა აკვრაში — 215.

90 კგ წონით კატეგორიაში აშკარა იყო გროზნოელი ა. საიდულაევის უპირატესობა. მან მსოფლიო რეკორდები გააუმჯობესა ატაცში (186 კგ), აკვრასა (227,5) და ორჭიდში (412,5).

● ფარიკაობა

ხუთი საპრიზო ადგილი

სმოლენსკში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა ფარიკაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 რესპუბლიკის 12 კოლექტივი. საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ საასპარეზოდ 23 სპორტსმენი გაგზავნა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა რსფსრ-ს ნაკრებმა, მეორე ადგილი წილად ხვდა უკრაინის კოლექტივს, მესამე — ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს.

საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მოფარიკავეებმა მოიგეს ხმლით გუნდური შეჯიბრება. ამავე სახეობაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა თ. ესართიამ. ახალგაზრდებს შორის I ადგილი დაიკავა დ. თურქიამ.

რაპირით ფარიკაობაში III ადგილზე გავიდა ვ. აფციაური.

ნინო სიჭინავა,
„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი.

● ძიუდო

„კოლმეურნეს" წარმატება

მოლდავეთის ქალაქ კოტოვსკში გაიმართა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძიუდოში.

კარგად იასპარეზეს ჩვენმა ძიუდოისტებმა: მათ ჯერ აზერბაიჯანის გუნდი დაამარცხეს (4:3), ფინალში კი მასპინძლებს მოუგეს (5:2) და I ადგილი დაიკავეს. „კოლმეურნეს" რესპუბლიკური ნაკრების ღირსებას იცავდნენ გ. ვარძელაშვილი (თელავი), ნ. ეპიტაშვილი, ზ. კბილცეცხლაშვილი (ორივე—დუშეთი), ე. ბოკუჩავა (სოხუმი), გ. გაგლოშვილი (თბილისი), დ. დავითაშვილი (ახმეტა) და ო. ყურაშვილი (კასპი). ჩვენი გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა შ. ტეტიაშვილმა.

● ჭადრაკი

ამომხსნელთა კონკურსი

სამტრედიის საჭადრაკო კლუბში მოეწყო საჭადრაკო კომპოზიციის ნაწარმოებების ამომხსნელთა კონკურსი. მოასპარეზეებს ამოსახსნელად შესთავაზეს ცნობილი პრობლემისტებისა და ეტიუდისტების ნამუშევრები.

კონკურსში გაიმარჯვეს: რ. გულიაშვილმა (რკინიგზის სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატი) — 54 ქულა, ნაზი თევზაძემ (ხის დამუშავების კომბინატის მერქანბურბუშელოვანი ფილების საწარმოს ოპერატორი) — 52, ა. ლორიამ (რკინიგზის საგზაო მშენებლობის № 2 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს საგეგმოტექნიკური განყოფილების ინჟინერი) და კ. ძიძიგურმა (რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლე) — 51-51.

ამ შეჯიბრებისადმი ინტერესმა მოლოდინს გადააჭარბა.

ი. ნიკოლეიშვილი.
(„ლელოს" კორ.).

შეამოწმეთ ამოხსნა

„ლელოს" 12 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის ორი ამოცანა, რომელიც ნ. გაფრინდაშვილის საჭადრაკო მოღვაწეობის 25 წლისთავს მიეძღვნა, სწორად ამოხსნეს: რ. კახიძემ (ბათუმი), შ. მინასოვმა (წყალტუბო), ზ. ტურიაშვილმა, ა. მიშველიძემ, ო. მამულაშვილმა (სამივე—თბილისი) და ზ. კობახიძემ (ამბროლაურის რ-ნი, სოფ. ნიკორწმინდა).

ამოცანის ამოხსნები: № 1. 1. ლd6; № 2. 1. e4.

● შაში

დაფებთან— ნორჩები

ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა თბილისის ნორჩ მოშაშეთა ჩემპიონატი 64-უჯრიან შაშში.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა 169-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ტ. ბოჭორაძემ, მეორე ადგილზეა ამავე სკოლის მოსწავლე პ. მელიქიშვილი, მესამეზე — 127-ე საშუალო სკოლის წარმომადგენელი რ. ჩაჩანიძე.

მეოთხე ადგილი წილად ხვდა მოშაშე გოგონას ეკა სამადაშვილს (169-ე საშუალო სკოლა).

ვ. კანდელაკი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

● მშვილდოსნობა

სეზონის ბოლო გასროლები

საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის მანეჟში ჩატარდა მშვილდოსნობაში წლევანდელი სეზონის უკანასკნელი ღონისძიება — თბილისის პირადი პირველობა. ეს შეჯიბრება შეიძლება ჩაითვალოს ახალგაზრდა სპორტსმენთა დათვალიერებად, რადგან 24 მსროლელის გვერდით მთავარი პრიზებისთვის მხოლოდ ორი ვეტერანი იბრძოდა. ესენი იყვნენ საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრები სპორტის ოსტატები ა. კაპიტანოვი („ლოკომოტივი") და ვ. ნაცვლიშვილი („ბურევესტნიკი"), რომელთაგან პრიზიორებში მოხვდა რკინიგზელი მშვილდოსანი. მან ოთხდღიან „მარათონში" 2346 ქულა დააგროვა და II ადგილი დაიკავა.

პირველობა მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საალრიცხვო-ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა შ. წიბლიაშვილმა — 2424. წიბლიაშვილმა („ბურევესტნიკი") 90 მეტრზე ერთჯერად და ორჯერად სროლაში 8 და 13 ქულით გააუმჯობესა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდები დახურული დარბაზებისთვის (შესაბამისად — 281 და 554 ქულა). III ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ლ. მჟავანაძე („შრომითი რეზერვები") — 2318.

გოგონათა ტურნირი დიდი უპირატესობით მოიგო თბილისის 116-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლ. მაჩაბლიშვილმა (2362). ლიას შედეგი საგრძნობლად აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს. მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდათ დედაქალაქის მე-2 საშუალო სკოლის მეათეკლასელს მ. სოპოლოვასა (2115) და თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის პირველკურსელს მ. ბაირამოვას (1959).

კარგი თაოსნობა გამოიჩინა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა თ. ტერუნაშვილმა, რომელმაც მეხუთე დღეს ცალკე გამართა შეჯიბრება თბილისის სხვადასხვა ორგანიზაციებში მომეცადინე მშვილდოსნებისთვის. ამჯერად სარბიელზე ვიხილეთ 27 ნორჩი სპორტსმენი. გაიმარჯვეს ი. ოპარკინამ, მ. თევდორაძემ და ა. ბუკრეევამ.

რ. კაცობაშვილი.

* * *

სურათზე: შ. წიბლიაშვილი ასპარეზობისას.

პანორამა

● სათხილამურო რბოლა

დავოსის (შვეიცარია) მიდამოებში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიოს თასის მფლობელი ა. ზავიალოვი (მოსკოვის ოლქი) 15 კილომეტრზე რბოლაში III ადგილზე გავიდა — 41.39,1. გამარჯვება ფინელმა ჰ. კირვესნიემმა მოიპოვა — 41.29,4. მეორე იყო შვედი თ. ვასბერგი. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ვაჟები ამანათრბენში (3X10 კმ), სადაც საბჭოთა გუნდებმა პირველი სამი ადგილი მოიპოვეს. საუკეთესო შედეგი (1:30.22,9) აჩვენეს ა. ჩაიკომ, ა. ზავიალოვმა და ი. ბურლაკოვმა. ქალთა ამანათრბენში (3X5 კმ) წარმატებას ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მიაღწია — 45.40. საბჭოთა ნაკრებმა მასთან 4,6 წამი წააგო და II ადგილი დაიკავა.

● ტრამპლინიდან ხტომა

გორკში გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა" საკავშირო თასის გათამაშების მეორე ტური (პირველ ტურში გაიმარჯვა გორკელმა ა. ბოროვიტინმა). აქ ბრძოლა პირველობისათვის პერმელ ლ. კომაროვსა და ალმაათელ ვ. ჩერნიაევს შორის წარიმართა. კომაროვმა 240,2 ქულით გაიმარჯვა (ნახტომები — 104 და 102,5 მ), ჩერნიაევის შედეგია 239,4 ქულა (ორივეჯერ — 103,5). მომდევნო ადგილებზე არიან ი. მოროზოვი (კიროვი), ა. შაკიროვი (ლენინგრადი), გ. პროკოპენკო (პერმი) და ს. მუხინი (გორკი). ექვსივე სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ „ოთხი ტრამპლინის" საახალწლო საერთაშორისო ტურნირში.

● სათხილამურო ორჭიდი

შტრბსკე-პლესოში (ჩეხოსლოვაკია) გაიმართა საერთაშორისო ტურნირი სათხილამურო ორჭიდში. მსოფლიო ჩემპიონმა კ. ვინკლერმა (გდრ) 440,4 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო გორკელი ა. მაიოროვი — 411,6 ქულა (IV ადგილი).

● ჰოკეი

გუშინწინ მოსკოვში ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დამთავრდა ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც პირველი ადგილი ერთი ტურით ადრე გაინაღდა, ბოლო შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხა ანგარიშით 4:3. მესამე ადგილისთვის თამაშობდნენ ფინეთისა და შვეციის კოლექტივები. ეს მატჩი შვედებმა მოიგეს — 4:2.

საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ვ. ტრეტიაკს (სსრ კავშირი), მცველისა — მ. დვორჟაკს (ჩეხოსლოვაკია), თავდამსხმელისა — ვ. შალიმოვს (სსრ კავშირი). ტურნირის საუკეთესო ბომბარდირებად აღიარეს ფ. ჩერნიკი (ჩეხოსლოვაკია) და ს. შეპელიოვი (სსრ კავშირი). „ყველაზე კორექტული გუნდის" პრიზი დაიმსახურეს შვედებმა.

მექსიკელთა უარის გამო

მოფარიკავეთა მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორობა დავალებული ჰქონდათ მექსიკელებს, მაგრამ იმის გამო, რომ აქაური სპორტის მესვეურებმა არ ისურვეს შეჯიბრება მათ ქვეყანაში ჩატარებულიყო, დღის წესრიგში დადგა ახალი მასპინძლის შერჩევის საკითხი. როგორც იტალიის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა რ. ნოსტინმა განაცხადა, მისი ქვეყანა მზადაა უმასპინძლოს ამ საინტერესო შეჯიბრებას. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატი მომავალი წლის ივლისში იტალიაში მოეწყობა.

საზღვარგარეთ

დაუნდობელი ბრძოლა დოპინგს

მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ-ი) გადაწყვიტა კიდევ უფრო გააფართოოს ანტისადოპინგო კონტროლის ცენტრების ქსელი. ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა ამ ფედერაციის პრეზიდენტმა პ. ნებიოლომ. ამ წლის დამლევისთვის ანტისადოპინგო ცენტრების რიცხვი 15-მდე გაიზრდება. აქამდე ასეთი ცენტრები მხოლოდ სსრ კავშირში, გდრ-სა და გფრ-ში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, შვეიცარიასა და იუგოსლავიაში იყო. მალე დოპინგის მამხილებელ ცენტრებს გახსნიან ავსტრალიაში, იტალიაში, შვეციასა და ფინეთში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი საკონტროლო ორგანიზაცია დღემდე ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული, მაგრამ მომავალი წლის დასაწყისში ანტისადოპინგო ცენტრი ლოს-ანჯელესშიც ამოქმედდება.

მხიარული ფანქრით

✦

ვ. კუციას და ი. ყეინაშვილის ნახატები.



უსიტყვოდ...

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი

ვლადიმერ (ვოვა) იპოლიტეს ძე ხუბულავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 14791